გიორგი გელოვანი

ყველანი აქ არიან

მოქმედი გმირები:
ქეითი
ელენი
ტომი

”მინდა მთელი სამყარო ამერიკა იყოს”

/შემოდის ქეითი და ელენი/
ქეითი: პელეგრინო, ჰერშისი და კოკა-კოლა. ვუთხარი ეს ყველაფერი თუ არ იქნება საგრიმიოროში, მაშინ გასტროლს გავაუქმებთქო.
ელენი: პელეგრინო შეიძლება შეცვალონ ევიანით. ველაპარაკე ბრიუს.
ქეითი: ევიანი ზედმეტ წყალბადს შეიცავს და მასუქებს. მე კიდევ გასუქება არ მჭირდება. დევიდის ახალ დადგმაში უნდა მოვხვდე და ზედმეტ კილოგრამებს ვერ მოვიმატებ.
ელენი: ამბობენ ის ახალგაზრდა კახპაც ითამაშებს.
ქეითი: ვინ? დევიდის ახალი საყვარელი? რა თქმა უნდა ითამაშებს. ის ხომ მისი მუზაა, მაგრამ მუზებიც ადრე თუ გვიან კვდებიან და მხოლოდ ქალღმერთები ცოცხლობენ მარად.
ელენი: ნამდვილად მოგცემს მთავარ როლს.
ქეითი: თუ არც მომცემს...
ელენი: გაიგე ჯექსონის მაგივრად შეიძლება ახალ 20 იანს სხვა დაახატონ?!
ქეითი: სხვა ვინ უნდა დაახატონ? ხალხი მიეჩვია ჯექსონს, ისე რომ ახალი ჯექსონი აირჩია ამ საუკუნეში. ისე, რატომ უნდა წაშალო კაცი, რომელიც ამდენი წელია ახატია 20იანს?
ელენი: რომ ქალი დაახატო!
ქეითი: ო, ეგ სხვა საქმეა. მაინც ვინ?
ელენი: ამიტომაც არ ახატავენ. ჯერ ვერ მოიფიქრეს.
ქეითი: ვიტყოდი, მაგრამ მერე სასაცილოდ არ გეყოფა...

ელენი: თქვი, უკვე სასაცილოა.
ქეითი: არ გეტყვი.
ელენი: არ დაგავიწყდეს, რომ თეთრი არ უნდა იყოს.
ქეითი: არა თეთრი და ქალი, თანაც 20იანზე, მხოლოდ შავი პანტერები იყვნენ.
/ელენი იცინის./
ქეითი: ხომ გითხარი სასაცილოდ არ გეყოფათქო?!
ელენი: ხანდახან მართლა სასაცილო რამეებს იძახი.
ქეითი: ჯანდაბა. კიდევ გასარეცხი დატოვა ჭურჭელი. ათასჯერ ვუთხარი და ვერ გაიგო.
ელენი: როდის უთხარი? ბოლოს როდის ნახე?
ქეითი: წერილი დავუწერე და მაცივარზე დავუტოვე.
ელენი: რომელიც დღემდე აქ კიდია.
ქეითი: არაუშავს. ერთ დღეს მეც დავუტოვებ დასალაგებელ სახლს.
ელენი: ვერ გამიგია საერთოდ რატომ ინახავ ამ მაწანწალას?!
ქეითი: აბა, გავაგდო? მინდა ამ ცხოვრებაში ვინმეზე მაინც ვიზრუნო, საკუთარი თავის გარდა.
ელენი: ვიცი. ეს პასუხი ვიცი, მაგრამ მანჰეტენზე 1 600 000 კაცი ცხოვრობს და აბსოლუტურად ყველა არის მილიონერი. მარტო შენ რატომ ზრუნავ მაწანწალაზე?
ქეითი: სხვებიც ზრუნავენ. ვუდი ყოველ დღე აჭმევს 46-ეს და მე-7 ქუჩის კვეთაში მაწანწალას. მარტინი 2 000 დოლარს ჩუქნის მათხოვარს, რომელიც დაუნთაუნში ქირაობს სახლს.
ელენი: ჰო, მაგრამ სახლში არავინ აჩერებს მათხოვარს.
ქეითი: რა ვქნა?! ბოჰემურად ვცხოვრობ ბოლო 15 წელიწადის განმავლობაში და ხალხს მოსწონს ასეთი უცნაურობები. ნებისმიერი ვარსკვლავი გარდა საკუთარი ნიჭის დემონსტრირებისა, ვალდებულია ათასი სისულელე ჩაიდინოს, რომ ყურადღების ცენტრში იყოს.
ელენი: მარტო ამის გამო თუ აკეთებ...
ქეითი: შეურაწყოფას მაყენებ. ზოგი მართლა სისულელეებს ჩადის. მაიკი ვეფხვთან ერთად ცხოვრობს. გგონია არასოდეს მონდომებია მაიკის ან ვინმეს შეჭმა თუ გაიგებდა მაიკის ფინანსურ მდგომარეობას, როცა ულუფას დაუპატარავებდნენ?!
ელენი: არამგონია გაეგო.

ქეითი: ერთხელ დონოვანმა საოცარი ისტორია მომიყვა. დონი ხომ გახსოვს? ძველი სენატორი?
ელენი: არ ვიცი. სენატორებს შენ იცნობ.
ქეითი: მოკლედ მიყვება:
 დონი: ერთხელ ჩემს მეგობარ ლესლისთან ერთად ბარში გოგოების გასაცნობად შევედი. უკვე კარგად შეზარხოშებული ვიყავი და კიდევ დავამატეთ.
 ლესლი: დონ, მემგონი სჯობს სახლში წავიდეთ. დებორა ინერვიულებს.
ელენი: დებორა ვინ არის?
ქეითი: დებორა დონის ყოფილი ცოლი იყო.
 დონი: დებორას უკვე ძინავს. თითოც დავლიოთ და წავიდეთ.
 ლესლი: მემგონი საკმარისია.
 დონი: აი იმ გოგოს ხედავ?
 ლესლი: რომელ გოგოს?
 დონი: აი იმას, აქეთ რომ მოდის?!
 ლესლი: სათვალე სახლში დამრჩა და ლინზები არ მიკეთია, ამიტომ კარგად ვერ გეტყვი ვხედავ თუ არა იმ გოგოს.
 დონი: ათ დოლარზე დაგენიძლავები, რომ დღეს ჩემი იქნება.
 სარა: ას დოლარზე დაენიძლავე.
ელენი: სარა ვინ არის?
ქეითი: ის ქალი, რომელზეც დანიძლავდნენ.
 დონი: ას დოლარზე დავნიძლავდეთ.
 ლესლი: ვერ ვხედავ ვინ ქალზე მელაპარაკები, ნასვამი ვარ და ხვალ შეიძლება ნებისმიერზე მითხრა ეს იყოო.
 სარა: გაანებე თავი. თითო დავლიოთ.
 დონი: მოკლედ, თითოს თითო მოყვა და ბლომად დავლიეთ. მერე ლესლის სახლის გასაღები გამოვართვი და იქ ავედით. დილით, რომ გავიღვიძე სარას მაგივრად, საწოლში დებორა იწვა. თანაც ლესლის სახლში.
ელენი: გამოდის საკუთარი ცოლი შეაბა?
ქეითი: ვინ ვინ შეაბა კიდევ საკითხავია. მეორე დღეს მთელი დღე უმტკიცებდა, რომ ლესლის ასი დოლარისთვის მოიქცა ასე. მოკლედ, ბევრი უცნაურობები ახასიათებთ ცნობილ ადამიანებს.
ელენი: მაპატიე, არ მინდოდა შენი გაღიზიანება. რასელი ჩამოვიდა გოტემში. მოსაწვევი გამოგიგზავნა თავის კინო პრემიერაზე.

ქეითი: რასელი. როგორ მიყვარს მისი ადრეული პერიოდი?! ახლა ვეღარ ვუყურებ მის ნამუშევრებს.
ელენი: რა ვუყო მოსაწვევებს?
ქეითი წერილში ჩადე. იქნებ ნახოს ტომმა?!
ელენი: როგორც გინდა.
ქეითი: ტომზე ნუ ბრაზობ. იღბლიანი ნაბიჭვარია. მაგ წერილში სპექტაკლის ბილეთები უნდა იდოს.
ელენი: აღარ დევს.
ქეითი: ხომ გეუბნები ნაბიჭვარიათქო?! გამოდის წერილი მაინც წაიკითხა და ისევ მაცივარზე მიაკრა. აღარ ჩადო მაგ კონვერტში. პირდაპირ მაცივარზე მიაკარი მაგნიტით.
ელენი: ლომის საქმეს აკეთებ მისთვის.
ქეითი: შენ ამას ვერ გაიგებ. მინდა და ვაკეთებ. ახლა უნდა მოვემზადო. სპექტაკლის შემდეგ ბილი ჯოელს ვხვდები სადილზე, სპეციალურად ჩამოვიდა ჩემს სანახავად.
ელენი: გამოდის დღეს გვიან მოხვალ... ისევ დაღლილი და არაფრის თავი გექნება...
ქეითი: ელ, ხომ არ ეჭვიანობ?! ეს უბრალოდ საქმიანი შეხვედრაა და მეტი არაფერი. ახლა უნდა მოვემზადო.
/ქეითი გადის./
ელენი: საქმიანი შეხვედრა. ნეტავ როდის არ გაქვს საქმიანი შეხვედრა?!
/შემოდის ტომი. ელენს ყურადღებას არ აქცევს. მიდის მაცივართან და ბილეთებს იღებს, შემდეგ ჯიბიდან კანფეტს იღებს მაგიდის უჯრაში დებს. გასვლას აპირებს./
ელენი: ჰელოუ.
ტომი: ჰელოუ.
ელენი: შენ ტომი ხარ, ჰო?! ადრე შევხვდით.
ტომი: არ მახსოვხარ.
ელენი: რა უხეში ხარ?! ელენი მქვია.
ტომი: ჩემი სახელი უკვე იცი.
ელენი: ჩამოჯექი ცოტა ხანს.
ტომი: მეჩქარება. საქმე უნდა მოვასწრო.
ელენი: რა საქმე?
ტომი: ბილეთებს ვყიდი ქუჩაში.

ელენი: მეგონა მეგობარ გოგონასთან გეჩქარებოდა, რომ თეატრში წაგეყვანა.
ტომი: მეგობარი გოგონა არ მყავს.
ელენი: რატომ? პედარასტი ხარ?
ტომი: მემგონი ახლა შენ უხეშობ?!
ელენი: რატომ? რა არ მოგწონს? ასე არ ეძახიან შენნაირ ადამიანებს?!
ტომი: პედარასტი არ ვარ. უბრალოდ მეგობარი გოგო არ მყავს და საერთოდ მეგობარი არ მყავს.
ელენი: მართლა ნაბიჭვარი ყოფილხარ.
ტომი: უკაცრავად, მაგრამ ვინ მოგცათ ამდენის უფლება?
ელენი: ბილეთებს ვინ გიტოვებს ხოლმე? არა მეგობარი?
ტომი: გასაგებია. ქეითზე თუ ლაპარაკობ, მაშინ გასაგებია.
ელენი: ბოლოს როდის ნახე?
ტომი: ყოველ საღამოს ვნახულობ, სანამ თეატრში შევა. გარეთ ველოდები, რომ თვალი შევავლო.
ელენი: შეგიძლია შიშველს შეავლო თვალი.
ტომი: სახლშია?
ელენი: შხაპს ივლებს.
ტომი: უნდა წავიდე. არ უნდა მოვსულიყავი.
ელენი: რატომ ჩქარობ?
ტომი: ერთ საათში ადგილზე იქნება და მანამდე უნდა მოვასწრო ბილეთების გასაღება.
ელენი: როგორც გინდა. გული დაწყდება, რომ გაიგებს აქ იყავი და არ ნახე. რამე ხომ არ გადავცე?
ტომი: არაფერი. ანდაც უთხარი, რომ ტომი მქვია და არა ტომასი, არც ტომიტო და არც ტომთი, უბრალოდ ტომი.
ელენი: აუცილებლად ვეტყვი.
/ტომი გადის. ელენი მაგიდის უჯრიდან კანფეტს იღებს და ჯიბეში იდებს. შემოდის ქეითი./
ქეითი: მაგვიანდება. სწრაფად უნდა მოვემზადო. თმა უნდა შევიკრა.
ელენი: მოგცემ თმის რეზინს.
ქეითი: არა. სადღაც აქ დავტოვე და ვიპოვნი. /იწყებს ძებნას. ვერ პოულობს და აღებს მაგიდის უჯრას. კარგად ათვალიერებს და ხურავს./ ნეტავ სად უნდა გამქრალიყო?!
ელენი: მაგიდის უჯრაში რატომ ეძებდი?

ქეითი: არ მახსოვს სად დავდე და მაგიტომ.
ელენი: აიღე და შეიკარი. კიდევ მაქვს.
/ელენი თმის რეზინს აწვდის. ქეითი იკეთებს./

ქეითი: ბილეთები სად წავიდა?
ელენი: ტომმა წაიღო.
ქეითი: ტომი იყო მოსული? რატომ არ დამიძახე?
ელენი: დაგიძახე, მაგრამ არ გესმოდა.
ქეითი: შემოსულიყავი მერე. შიშველი არ გინახივარ?!
ელენი: არ ვიცოდი ასე ძალიან თუ გინდოდა ტომის ნახვა. ერთ სახლში ცხოვრობთ და არ ნახულობთ თვეობით ერთმანეთს.
ქეითი: ჰო და მაგიტომაც მინდოდა მენახა.
ელენი: გასაგებია. შემდეგზე თუ ისევ მოვა, შემოვალ და გეტყვი.
ქეითი: რამე ხომ არ უთქვამს?
ელენი: გადმოგცა ტომი მქვია და არა სხვა ვარიაცია ჩემი სახელისო.
ქეითი: რა საყვარელია?!
ელენი: ძალიან.
ქეითი: სხვა არაფერი?!
ელენი: სხვა არ მახსენდება.
ქეითი: კარგი. წერილი წაიკითხა?
ელენი: ალბათ, რადგან სახელის ვარიაციები ახსენა.
ქეითი: რამეს ხომ არ მიმალავ?
ელენი: რას მაგალითად?!
ქეითი: არ მომწონს ეგრე, რომ მელაპარაკები. სპექტაკლი მაქვს სათამაშო და განწყობა მჭირდება.
ელენი: ვიცი და ვცდილობ განგაწყო სპექტაკლისათვის.
ქეითი: მომეცი.
ელენი: რა მოგცე?
ქეითი: იცი რაც. ბევრი არ მალაპარაკო.
ელენი: წარმოდგენა არ მაქვს რაზე მელაპარაკები.
ქეითი: ის, რაც უჯრიდან ამოიღე.
ელენი: გამოდის ის შენია და არა ტომის.
ქეითი: დიახ, ის ჩემია.
ელენი: რა არის?
ქეითი: არ გინახავს?!

ელენი: ვერ მოვასწარი.
ქეითი: მომეცი.
ელენი: ნარკოტიკია?
ქეითი: შენთვის დაიტოვე თუ არ მაძლევ. კარგად იყავი.
ელენი: აიღე. /იღებს ჯიბიდან და მაგიდაზე დებს./
ქეითი: მადლობა. /იღებს./
ელენი: ამიტომ აგვიანებ ხოლმე სახლში?
ქეითი: რა სისულელეა?! ძალების აღდგენაში მეხმარება. ენერგიას მაძლევს.
ელენი: ჩემი გრცხვენია! ამიტომაც იგონებ მიზეზებს. დიდი ხანია ასე ხარ?
ქეითი: რთულია ფორმაში ყოფნა, როცა 2 000 კაცი გიყურებს ყოველ დღე.
ელენი: მიზეზები არ მაინტერესებს. სხვა რამე გკითხე.
ქეითი: ამის დრო არ მაქვს.
ელენი: და მაგის დრო გაქვს?!
ქეითი: გთხოვ, საკმარისად დიდი გოგო ვარ. კარგად იყავი. /გადის./
/ელენი ოთახში დადის და რაღაცას ეძებს. ტომი ბრუნდება./
ტომი: შენ ისევ აქ ხარ? მეგონა ქეითს გაჰყვებოდი.
ელენი: არა. დავრჩი. აქ დაველოდები.
ტომი: როგორც გსურს.
ელენი: შენ რატომ არ დარჩი სპექტაკლზე?
ტომი: არასოდეს ვუყურებ. დიდად არც მიყვარს.
ელენი: აბა, ბილეთები რად გინდოდა?
ტომი: უცებ გავყიდე და მოვბრუნდი.
ელენი: სულ ასე იქცევი?
ტომი: ეს ჩემი სამსახურია.
ელენი: გასაგებია. ასე მალე როგორ გაყიდე?
ტომი: რა ვქნა, ნიქსი ფორმაში არ არის წელს, თორემ მეტ ხანს მომიწევდა გარეთ ყოფნა.
ელენი: ნიქსი პლეიოფში მოხვდა წელს.
ტონი: ჰო, მაგრამ თამაში ვერ მოიგო. მეხუთემდეც კი ვერ მივიდა.
ელენი: გაქვს რამე აქ?
ტომი: უკაცრავად?!
ელენი: ქეითმა აიღო რაც დაუტოვე, ასე რომ ვიცი.
ტომი: გასაგებია. რა გინდა?

ელენი: ის რაც ქეითს დაუტოვე.
ტომი: ფული გაქვს?
ელენი: ჯერ გამასინჯე. კარგია?
ტომი: ასე ამბობენ.
ელენი: შენ არ იცი?
ტომი: მე არ ვეკარები მძიმე ნარკოტიკს. მხოლოდ ვეწევი. იშვიათად ოპიუმსაც მოვიხმარ.
ელენი: გამასინჯე.
ტომი: პირველად სინჯავ? თუმცა რას გეკითხები, ქეითის გოგო ხარ?!
ელენი: პირველად ვსინჯავ.
ტომი: ჯანდაბა. მაშინ გირჩევ არ...
ელენი: დიდი გოგო ვარ. ვიცი რასაც ვშვები.
ტომი: ეჭვი მეპარება იცოდე.
ელენი: მომცემ თუ არა?
ტომი: არა. ეგეთი ფული არ მინდა.
ელენი: როგორი? მოყვარულის ფული?
ტომი: დამწყების ფული.
ელენი: ფული ფულია, დამწყებისაც და გამოცდილისაც.
ტომი: არ მინდა. ისე მოგცემ.
ელენი: როგორი სულგრძელი ხარ?!
ტომი: მთავარია შენ არ იყო სულმოკლე. /ტომი ელენს კამფეტს აძლევს, რომელსაც ელენი ყლაპავს./

ელენი: ახლა რა მოხდება?
ტომი: დაელოდე. პირველ ჯერზე შეიძლება არაფერიც არ მოხდეს ან არ მოგეწონოს.
ელენი: მაწყნარებ? მარტო კონსერვატორები და ქალწულები საუბრობენ ასე.
ტომი: შენ რა იცი?
ელენი: მეც ვიყავი ქალწული ოდესღაც.
ტომი: და კონსერვატორებზე რა იცი?
ელენი: ტომ. შეიძლება ტომიკო დაგიძახო?
ტომი: შეიძლება, მაგრამ ტომი მირჩევნია.
ელენი: ტომიკო, ტომ, ყველა ქალწული კონსერვატორია.
ტომი: რა სისულელეა?!

ელენი: შეიძლება, მაგრამ ასეთი თეორიაც არსებობს.
ტომი: ერთი მეზობელი მყავდა ბავშვობაში. 5 ქმარი ჰყავდა და მაინც ქალწული იყო.
ელენი: ეგ როგორ?
ტომი: არ იწვა ქმრებთან.
ელენი: აბა რას შვებოდა?
ტომი: არ ვიცი. ქორწინდებოდა, მოქალაქეობას აძლევდა ქმარს და ეყრებოდა.
ელენი: ჰო, მაგრამ რა იცი, რომ ქალწული იყო?
ტომი: კონსერვატორი იყო და კონსერცატორად დარჩა ყველა ქორწინების შემდეგ.
ელენი: ესეიგი მართლა ქალწული ყოფილა.
ტომი: მაგ თეორიით ეგრეა.
ელენი: წავალ. ცოტა ხანს მივწვები. ცოტა მეძინება. /ელენი გადის./

/ქეითი ბრუნდება./
ქეითი: იქით კვირას ჭიდაობის ჩემპიონატზე მივდივარ.
ტომი: ჭიდაობაზე რა გინდა? ახალი თაყვანისმცემელი გყავს?
ქეითი: არა. უბრალოდ მიყვარს დამტვრეულ ყურებიანი კაცები.
ტომი: მერე ყურის ექიმი გამოსულიყავი და ყოველ დღე უყურებდი უფრო ახლოდან.
ქეითი: ექიმი ვერ გავხდები ვერასოდეს. სისხლის მეშინია.
ტომი: ყურში ყველაზე მეტი კაპილარია და ვენები არ გადის.
ქეითი: ვერაფერი გავიგე. იცი კიდევ რა ვერ გავიგე?
ტომი: რა, ქეით?
ქეითი: ოჰო, ყოჩაღ ტომიკო. მოკლედ, არის უამრავი შტატი და ყველას ჰქვია განსხვავებული სახელი.
ტომი: ვერ ვხვდები საით მიგყავს...
ქეითი: ლუიზიანა, ვირჯინია, კალიფორნია, ილინოისი, ნიუ მექსიკო, მონტანა, ვაშინგტონი...
ტომი: ვაშინგტონი დედაქალაქია.
ქეითი: ის დი სია. ვაშინგტონ დი სი. შტატ ვაშინგტონის დედაქალაქი ოლიმპია. სკოლაში არ გისწავლია, ტომიკო?
ტომი: მხოლოდ პირველი კლასი.

ქეითი: ეგეც უკვე საქმეა. მოკლედ, არის კიდევ ოჰაიო, აიდაჰო, მერილენდი, ჯორჯია, ფლორიდა, ნიუ იორკი.
ტომი: ნიუ იორკიც ქალაქია.
ქეითი: ის ნიუ იორკ სიტია.
ტომი: ჯანდაბა.
ქეითი: ტომ, ახლა კი კითხვა მაქვს შენთან.
ტომი: გისმენ.
ქეითი: არის კიდევ ორი შტატი-კანზასი და არკანზასი. შტატ კანზასის დედაქალაქი-კანზას სიტია და იცი რა არის შტატ არკანზასის დედაქალაქი, ტომ?!
ტომი: არკანზას სიტი?
ქეითი: ლითლ როქ. /იცინიან./
ტომი: სასაცილოა, მაგრამ კანზასის დედაქალაქი კანზას სიტი არ არის.
ქეითი: შენ რა იცი, მხოლოდ ერთი კლასი ისწავლე სკოლაში.
ტომი:ეგ ნამდვილად ვიცი. იქ სადაც ბავშვობაში ვცხოვრობდი მთელი ქვეყნის რუქა ეკიდა და იცი კანზას და არკანზასის გარდა არის კიდევ ჩრდილოეთ და სამხრეთ დაკოტა.
ქეითი: შენ იცი შტატ ნიუ იორკის დედაქალაქი?
ტომი: ალბანი.
ქეითი: აღარ არის სასაცილო. ნახე, ახალი მაღვიძარა ვიყიდე.
ტომი: მერამდენე მაღვიძარაა?
ქეითი: კარგი რა, ტომ. ის მაღვიძარები არ მაღვიძებენ.
ტომი: როგორ გაგაღვიძებენ, როცა მარტო მე ვრთავ 4-5 მაღვიძარას, როცა სახლში ვარ.
ქეითი: მართლა? ალბათ ამიტომაც არ მაღვიძებენ სხვები.
ტომი: ქეით, სისულელეა. ოთახში 20 მაღვიძარა მაინც გექნება და ვერც ერთი გაღვიძებს?
ქეითი: არ მომწონს შენი საუბარი, ტომიკო.
ტომი: უბრალოდ გთხოვ, მეტი მაღვიძარა აღარ იყიდო.
ქეითი: არა. ეს ბოლოა.
ტომი: მერამდენე ბოლო?
ქეითი: 21-ე.
ტომი: იუმორს ვერ მივხვდი.
ქეითი: იცი, პირველად მაღვიძარა, რომ ვიყიდე, ზუსტად ისეთი ვიყიდე როგორიც ბავშვობაში მქონდა.

ტომი: ბავშვობაშიც გქონდა მაღვიძარა?
ქეითი: მაღვიძარა ყოველთვის მქონდა. დედაჩემი ყოველ სამ საათში ერთხელ მაჭმევდა, როცა გავჩნდი და იცი როგორ ხვდებოდა, რომ სამი საათი გადიოდა?
ტომი: მაღვიძარას ყოველ სამ საათში ერთხელ აყენებდა, რომ დაერეკა?!
ქეითი: გამოიცანი. ერთხელ მაღვიძარა გაფუჭდა და მთელი დღე მშიერი ვიყავი. მთელი დღე ვერ მიხვდა დედა, რომ მშიოდა.
ტომი: ტირილი, რომ დაიწყე ვერ მიხვდა?
ქეითი: ტომ, მე მხოლოდ სცენაზე ვტირი. არასოდეს მიტირია ცხოვრებაში.
ტომი: გამორიცხულია. არასდროს?
ქეითი: არასდროს. ფაქტიურად ყოველ დღე ვტირივარ, როცა ამდენი ადამიანი ტაშს მიკრავს და ბედნიერების ცრემლები მომდის.
ტომი: გასაგიჟებელი ამბავია. ახალშობილი არ ტირის. რომ გაჩნდი არც მაშინ იტირე?
ქეითი: მაშინ არ ვიცი. ჩემი გაჩენა არ მახსოვს.
ტომი: გასაგებია.
ქეითი: მოკლედ, ბრუკლინში როცა ვცხოვრობდი ოჯახთან ერთად, ჩემს მეზობელს-ბიძია ფრენკს, რომელიც ჩემი კარის პირდაპირ ცხოვრობდა და ქუჩის მეორე მხარეს მაღვიძრების მაღაზია ჰქონდა.
ტომი: მაღვიძრების მაღაზია?
ქეითი: დიახ და იცი რა ერქვა ამ მაღაზიას?
ტომი: არა, არ ვიცი, ქეით. რა ერქვა ამ მაღაზიას?
ქეითი: ”ტკბილი სიზმრები”.
ტომი: ძალიან ორიგინალურია.
ქეითი: ხანდახან ბიძია ფრენკს ვსტუმრობდი ხოლმე სკოლის შემდეგ და ერთხელ ბიძია ფრენკმა მაღვიძარა მაჩუქა. ერთი სული მქონდა როდის დავიძინებდი, რომ დილით მაღვიძარას დაერეკა.
ტომი: მერე დარეკა?
ქეითი: დარეკა. უბრალოდ ხუთი წუთით ადრე გავიღვიძე, ვიდრე მან დარეკა.
ტომი: მეც მომსვლია ასე. ერთხელ ერთი საათით ადრე გავიღვიძე ვიდრე ჩემმა მაღვიძარამ დარეკა.
ქეითი: ეგ სხვა მიზეზით იქნებოდა გამოწვეული.

ტომი: არა. შენმა მაღვიძარამ დარეკა ერთი საათით ადრე ვიდრე ჩემს უნდა დაერეკა. მთელი საათი ვეძებდი, რომ გამომერთო.
ქეითი: მერე იპოვნე?
ტომი: ვიპოვნე, ქეით. ნაგვის ურნიდან რეკავდა.
ქეითი: მახსოვს ეგ მაღვიძარა. ყოველთვის უდროო დროს რეკავდა. მაგიტომაც გადავაგდე. მოკლედ, ერთხელ სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, ბევრი ადამიანი იყო "ტკბილი სიზმრების" წინ შეკრებილი.
ტომი: ფასდაკლება იყო მაღვიძრებზე?
ქეითი: არა, უბრალოდ ყველა მაღვიძარა ერთად აყვირდა. თითქოს პირი შეკრესო. ხალხი კი იდგა და სხვადასხვა ჟღერადობას უსმენდა.
ტომი: უცნაური და საინტერესო ფაქტია.
ქეითი: უცნაური და საინტერესო ის ფაქტია, რომ იმ ღამეს როცა ბიძია ფრენკის უკანასკნელი წუთი დადგა, ყველა მაღვიძარა გაჩერდა და დილით არც ერთს აღარ დაურეკავს მას შემდეგ.
ტომი: მაღვიძრების მაღაზიაში არც ერთი მაღვიძარა არ რეკავდა?
ქეითი: არა, ტომიკო, რადგან არ უნდოდათ ბიძია ტომისათვის ტკბილი სიზმრები დაეფრთხოთ.
ტომი: საოცარი ისტორიაა. ერთხელ აუცილებლად მოვინახულებ ბრუკლინში "ტკბილ სიზმრებს".
ქეითი: ვერ მოინახულებ, რადგან ბიძია ფრენკს ყველა მაღვიძარა იმ ქვეყნად გაატანეს. დღემდე მის საფლავზე, მიწიდან სხვადასხვა ხმა მოისმის.
ტომი: მიწიდან?
ქეითი: მიწისქვეშეთიდან.
ტომი: იცი? აღარ მინდა მაღვიძრებზე, ბიძია ფრენკზე და "ტკბილ სიზმრებზე" საუბარი.
ქეითი: ძალიან საყვარელი ხარ, ტომტიტო. რაღაც უნდა გითხრა, ოღონდ საწყენად არ მიიღო.
ტომი: გისმენ, ქეით.
ქეითი: ცოტა მოაკლდა კამფეტებს წონა.
ტომი: ბოლოს რამოდენიმეჯერ გვერდითა ლოჟის ბილეები დამიტოვე მხოლოდ.
ქეითი: გვერდით ლოჟის? ტომ, ჩემს სანახავად არანაკლები საზოგადოება იკრიბება დარბაზში, ვიდრე სცენაზე დგას.

ტომი: ჰო, მაგრამ დარბაზშიც უნდათ, რომ ყურადღება მიიქციონ.
ქეითი: რიგი მეორე ქუჩიდან იწყება, როცა ვთამაშობ. გადამყიდველები უფულოდ რჩებიან, რადგან არავინ ბილეთს არ ყიდის, ამიტომაც გიტოვებ ორ ბილეთს ყოველ სპექტაკლზე, ტომ.
ტომი: თუ არ მოგწონს, შეგიძლია სხვა იპოვნო.
ქეითი: ხომ გთხოვე არ გეწყინოსთქო?!
ტომი: წავალ მივწვები. გვიანია. /ტომი გადის. ელენი შემოდის./
ელენი: როგორ ჩაიარა სპექტაკლმა?
ქეითი: როგორც ყოველთვის. 12ჯერ ასწიეს ფარდა.
ელენი: ვიზა მიმთავრდება. მალე უნდა დავბრუნდე სახლში.
ქეითი: ძალიან მომენატრები. გოტემში, რომ ჩამოხვალ აუცილებლად მოდი სტუმრად.
ელენი: ქეით, შეიძლება დიდხანს არ ჩამოვიდე.
ქეითი: მოდი ბედისწერას მივენდოთ და შეხვედრის მოლოდინში დავრჩეთ.
ელენი: ასე მგონია, რომ სამყაროს ვტოვებ. ყველანი აქ არიან.
ქეითი: მართალია. სამყარო ერთ ქალაქში. ასეთია ნიუ იორკ სიტი.
ელენი: იცი ვინ ვნახე დიდი ხნის უნახავი?
ქეითი: ვინ? აქ ვის არ ნახავ?!
ელენი: ნათლიაჩემი. ძალიან პატარა ვიყავი, რომ წავიდა.
ქეითი: ნათლიაშენი? ქრისტიანულად ხარ მონათლული?
ელენი: კელტურად. მამის მხრიდან ირლანდიელი ვარ.
ქეითი: როდის ნახე?
ელენი: 1 თვის წინ. ფოტო ვნახე. მანამდე მარტო ბავშვობაში მყავდა ნანახი და შემდეგ გაქრა თუ გააქრეს.
ქეითი: ცუდი ბიჭი იყო ნათლიაშენი?
ელენი: ცუდი ბიჭი და კარგი მეგობარი.
ქეითი: საინტერესოა.
ელენი: იცი თავისი ცოლი როგორ გაიცნო? მოგიყვე?
ქეითი: ხომ იცი როგორ მიყვარს სიყვარულზე ისტორიები?!
ელენი: ნათლიაჩემი ბილეთების კოლექციონერი იყო. ერთხელ კინო სეანსის შემდეგ ბილეთი იპოვნა. მელისა ოვერლი და იფიქრა-ერთ ქალაქში, ერთ კინოსეანსზე, ერთ დროს ორი სრულიად უცნობი ადამიანი შეხვდა ერთმანეთს-მელისა ოვერლი და კრისტოფერ ნიუკომბი.
ქეითი: უკვე ზღაპრული ამბავია.

ელენი: კრისტოფერმა ეს ღვთის ნიშნად მიიღო გადაწყვიტა გაეგო მელისას ვინაობა.
ქეითი: მელისა ოვერლის.
ელენი: ჰო, მელისა ოვერლის. იმ საღამოსვე გაიგო მისამართი და ტელეფონის ნომერი.
ქეითი: როგორ?
ელენი: ხომ გითხარი ცუდი ბიჭი იყოთქო.
ქეითი: და რა უთხრა?
ელენი: დაურეკა და უთხრა:
კრისი: კრისტოფერ ნიუკომბი გაწუხებთ.
მელისა: უკაცრავად?!
კრისი: მელისა ოვერლი ხარ?
მელისა: თქვენ ვინ ხართ?
კრისი: ხომ გითხარი კრისტოფერ ნიუკომბი ვარ.
მელისა: გისმენ.
კრისი: დღეს კინო სეანსზე იყავი.
მელისა: საიდან იცი? ვინ ხარ?
კრისი: კრისტოფერი ვარ. ბილეთი ვიპოვნე, შენი სახელი ეწერა და მე მაქვს. მინდა დაგიბრუნო.
ქეითი: რა რომანტიულად ბანალურია?! რა უთხრა მელისამ?
ელენი: ქეით, მელისა ქალია, რას ეტყოდა?
ქეით: დათანხმდა.
ელენი: რა თქმა უნდა.
კრისი: 24-ეს და მე-7 კვეთაში დაგელოდები ნახევარ საათში. იტალიური რესტორანია.
მელისა: რა ქვია?
კრისი: დონის პიცა.
მელისა: პიცა? ამ დროს?
კრისი: არა, რა თქმა უნდა. უბრალოდ იქ დაგელოდები.
ქეითი: მომწონს შენი ნათლია.
ელენი: ჰო, ცუდი ბიჭის კვალობაზე კარგია. ჰო და დღეს ვნახე. თითქოს ქუჩაში დავინახე. შორიდან დამინახა. წყნარად მიაბიჯებდა სხვა მიმართულებით. დამინახა, გამიღიმა და ქუჩაზე გადაირბინა, ისე რომ არ გაჩერებულა.
ქეითი: ყველანი აქ არიან. ისინიც კი, ვინც აღარ არიან.

ელენი: უცნაური ქალაქია გოტემი.
ქეითი: უნდა გადავივლო და დავწვე.
ელენი: ბილი ჯოელი იყო სპექტაკლზე?
ქეითი: ვერ მოახერხა და წერილი გამომიგზავნა. არც წამიკითხავს. ტყუილ ბოდიშებს ვერ წავიკითხავ. ერთხელ ვაიომინგშიც კი ჩავედი, რომ ერთი საათით მენახა. აღარ მინდა ამაზე. ტომს დაველოდოთ და ჩემი ახალი პიესა მინდა წავიკითხოთ.
ელენი: ახალი როლი გაქვს? რამდენი მსახიობი ხართ დაკავებული? როდის არის პრემიერა?
/ქეითი იძახის იმ თარიღს რომელიც დღეს არის./
ქეითი: ჯერ უნდა წავიკითხო. თ.
ელენი: ვისი პიესაა?
ქეითი: ახალგზარდა ვარსკვლავია. იძახიან მთლად ტენესი უილიამსი ვერ არის ჯერ, მაგრამ ნილ საიმონს და არტურ მილერის მხარეს უფრო არისო.
ხომ იცი ნილს არ ველაპარაკები დიდი ხანია.
ელენი: არ ვიცოდი. პიესას რა ქვია?
ქეითი: ”გაზაფხული დისიში.”
ელენი: დამაინტრიგებელი სათაურია.
ქეითი: ძალიან. სადამდე ვეშვები? ღლაპების პიესებში ვთამაშობ.
ელენი: აბა, ტენესი უილიამსია ახალგაზრდობაშიო?!
ქეითი: ტენესი უილიამს ახალგაზრდობა არ ჰქონია. თან ის მაგიჟებს, რომ სამ კაცს შორის მიდის წრიული საუბარი. (Circle Talk).
ელენი: ვერ მივხვდი.
ქეითი: ერთი მეორის შემდეგ საუბრობენ და ყოველთვის ვიღაცის წინ ან უკან ხარ.
ელენი: გასაგებია. დაველოდოთ ტომს.
ქეითი: უმჯობესია დავუძახოთ. ტომ. ტომი. ტომიკო.
/პირველი აქტის დასასრული./
/ქეითი მარტოა/
ქეითი: ტომ. ტომი. ტომიტო. ტომტიტო. ტიტო, ტომ, ტიტო.
ტომი: ჰოუ, რა ხდება?
ქეითი: რა ხდება? მგონი რაღაც დაგავიწყდა?!
ტომი: რა დამავიწყდა?
ქეითი: კანფეტის მოცემა.

ტომ: ვიცი, მაგრამ სამწუხაროდ დღეს მხოლოდ ფული შემიძლია დაგიბრუნო.
ქეითი: ფული? ვის რად უნდა ფული?
ტომი: ფული ყველას უნდა, ქეით.
ქეითი: ფული მხოლოდ სულელებს უნდათ. ჭკვიანებს მხოლოდ ის უნდათ, რასაც ამ ფულით ყიდულობენ.
ტომი: ძალიან ფილოსოფიური ნათქვამია.
ქეითი: კანფეტი მინდა.
ტომი: მგონი ვერ გამიგე. თანხას უკან გიბრუნებ. ჩემი მეგობარი დაიჭირეს და უნდა მივიდე. კანფეტების გამყიდველი.
ქეითი: მე რა ვქნა? კანფეტების გამყიდვლის გამო სპექტაკლი ჩავაგდო?
ტომი: შენი ჩაგდებული სპექტაკლი არ მახსოვს.
ქეითი: ტომიტო, იცი რატომ არ ვაგდებ სპექტაკლებს?
ტომი: იმიტომ რომ შენ პრიმა ხარ!
ქეითი: ნიუ იორკი კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალაქია, როგორც მე.
ტომი: შენც კირჩხიბი ხარ?
ქეითი: მე ვარ ამ ქალაქის პრიმა.
ტომი: ვიცი, თუმცა თანხის დაბრუნება მაინც მომიწევს.
ქეითი: თანხის?! შოკოლადი მაინც მომეცი და იქნებ მოვტყუვდე კიდეც?!
ტომი: ჰერშისი ხომ არ გნებავს?!
ქეითი: ტომ, შენ იცი რომ ჩიკაგოში და მის ფარგლებს გარეთ, ბულსზე უფრო ცნობილი ჰერშისის შოკოლადია?!
ტომ: შოკოლადის ქალაქია.
ქეითი: ჰო და აქაც გვინდა შოკოლადები.
ტომ: შოკოლადის ქარხნის დირექტორი დაიჭირეს, ამიტომ სანამ ახალ დირექტორს არ ვიპოვნით, მანამდე ბულსის თამაშებს უნდა ვუყუროთ.
ქეით: ბულსის თამაშებს სტივ კერის დროს არ ვუყურებდი და ახლა ვის ვუყურო?
ტომ: მაშინ წავალ და სხვა იპოვნე შოკოლადის ქარხანაში.
ქეითი: ჰო, წადი და იპოვნე! მიდი. რას ელოდები? ხვალ ისევ ახალი დღე გათენდება და მართლა შოკოლადზე ხომ ვერ ვიქნები?!
ტომ: ქეით, არ გესმის...
ქეითი: დიახ, არ მესმის. ამდენს ვშრომობ და რისთვის?
ტომ: მესმის, მაგრამ შენც უნდა გაიგო.

ქეითი: რა გავიგო? ამ მომხმარებლურ სამყაროში, სადაც ჩემი გრძნობები არავის აინტერესებს, გინდა სხვისი გრძნობები გავიგო?
ტომ: წავალ და გიპოვნი შოკოლადის ქარხნის ახალ დირექტორს.
ქეით: კარგს იზავ.
/ქეითი გადის. შემოდის ელენი./
ელენი: ტომ, რა კარგი ბიჭი ხარ?! ამდენ ხანს არასოდეს მძინებია.
ტომ: ჩემი რა ბრალია თუ არ გძინავს?!
ელენი: შენი კამფეტის ბრალია.
ტომ: კარგად ხარ?
ელენი: ძალიან, მაგრამ ახლა უნდა დაგტოვო.
ტომ: სად მიდიხარ?
ელენი: ოკეანეს უნდა გადავუფრინო.
ტომ: მაინც სად მიფრინავ?
ელენი: ყველა გზა რომში მიდის.
ტომ: მართლა? პირველად მესმის.
ელენი: ნუთუ?
ტომ: და რომში სად მიდის გზა?
ელენი: კარგი კითხვაა. არასოდეს დავფიქრებულვარ.
ტომ: დაბრუნდები?
ელენი: მიზეზი მაქვს.
ტომ: ქეითი?
ელენი: ქეითს მხოლოდ თავისი სპექტაკლები აინტერესებს.
ტომ: აბა რა მიზეზი გაქვს?
ელენი: ხომ უნდა გითხრა სად მიდის გზა რომში?!
ტომ: რუკას ჩავხედავ მანამდე.
ელენი: რუკის კითხვა იცი?
ტომ: კითხვა არა, ორიენტაციით ვხვდები.
ელენი: ჩამატანინებ ჩანთებს?
ტომ: რა თქმა უნდა. მეც მოვდივარ გარეთ.
ელენი: ტომ, ის სარკე აბაზანაში, რომ კიდია, იქნებ გაამაგრო, თორემ მგონია რომ ჩამოვარდება.
ტომ: რომელი სარკე?
ელენი: აი, მაღლა რომ კიდია-ჭერზე.
ტომ: ვერასოდეს ვხვდებოდი მაგ სარკის დანიშნულებას.

ელენი: რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს სარკეს, რომელშიც ზევით უნდა აიხედო, რომ საკუთარი თავი დაინახო?!
ტომ: რა დანიშნულება?
ელენი: მხოლოდ ერთი-მაშინაც კი როცა ზევით უყურებ, საკუთარ თავს მაინც ზემოდან დასცქერი.
ტომ: ძალიან სერიოზული პასუხია. წავიდეთ.
/ტომი და ელენი გადიან. შემოდის ქეითი./
ქეითი: ტომ! ელენ! სად ხართ? ჯანდაბა. როცა მჭირდებიან მაშინ არ არიან არასოდეს. ხვალისთვის უნდა მოვემზადო. ამდენ საქმეს ერთად ვერ მოვერევი. სჯობს დავისვენო. /გადის./

ნიუ იორკი

+995 577766626